



პერსონალურ მონაცემთა  
დაცვის სამსახური



# რეკომენდაციები უპილოტო საჰაერო ხომალდის სისფაჰის ბაზოყენებით მონაცემთა დამუშავების შესახებ

რეკომენდაციები ემსახურება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა განმარტებას, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას, ის არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, არის სარეკომენდაციო ხასიათის და არ წარმოშობს დამატებით უფლებებსა და ვალდებულებებს.

## შინაარსი

შესავალი.....	3
1. დრონის გამოყენებით მონაცემთა დამუშავება და კანონის მოქმედების ფარგლები ...	4
2. დრონის პილოტის სტატუსი.....	5
3. მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობა .....	6
4. მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლის არსებობა .....	7
5. მონაცემთა დამუშავების პროცესის გამჭვირვალობა და მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება.....	8
6. მონაცემთა დამუშავების კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზანი.....	10
7. მონაცემთა მინიმიზაციის ვალდებულება.....	11
8. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება.....	13
9. მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი .....	14
10. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულება.....	15
11. დრონის გამოყენების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად მისაღები ზომები .....	17

## შესავალი

თანამედროვე სამყაროში სწრაფად მზარდია როგორც ტექნოლოგიური განვითარების ტემპი, ასევე, საზოგადოების მხრიდან ამ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის მასშტაბი. ამ მხრივ, გამონაკლისი არც უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემები (შემდგომში - დრონი) და მათი გამოყენებაა.

დრონი არის დისტანციურად კონტროლირებადი უპილოტო საჰაერო ხომალდი, რომელიც შეიძლება აღჭურვილი იყოს ფოტო ან/და ვიდეო გამოსახულების, ხმის ან/და სხვა ინფორმაციის შეგროვებისთვის საჭირო ტექნოლოგიით,<sup>1</sup> რაც შეიძლება იყოს ხმის ჩამწერი მოწყობილობა, მარტივი, ღამის ხედვის ან/და თერმული გამოსახულების (თერმოგრაფიული) კამერა, რომელიც ადამიანის მდებარეობას სხეულის სითბოს საშუალებით ადგენს. დრონზე შეიძლება დამონტაჟებული იყოს „3D“ სკანერები, „WiFi“ ან/და „Bluetooth“ მოწყობილობები, მობილური მოწყობილობების ამომცნობი სისტემები და ა.შ.<sup>2</sup>, რაც მობილური ტელეფონის საშუალებით პიროვნების ადგილმდებარეობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, დრონი შეიძლება აღჭურვილი იყოს GPS ტექნოლოგიით, რაც, როგორც თავად დრონის, ასევე, მისი ნებისმიერი სათვალთვალო სამიზნის მდებარეობის კონტროლისა და ჩაწერის საშუალებას იძლევა. ამდენად, დრონს შეუძლია, გადაიქცეს მობილურ სათვალთვალო სისტემად და დიდი მოცულობით დაამუშაოს საჯარო თუ კერძო სივრცეში მოძრავ პირთა (მონაცემთა სუბიექტების) პერსონალური მონაცემები.<sup>3</sup>

ზემოჩამოთვლილი ტექნიკური საშუალებების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ დრონის დისტანციური პილოტის (შემდგომში - „დრონის პილოტი“) მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში - „კანონი“) გათვალისწინებული წესების სათანადოდ დაუცველობის პირობებში, დრონების გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას დიდი რაოდენობის მონაცემთა სუბიექტების პერსონალურ მონაცემებს.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს/დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს, რომლებიც მონაცემებს დრონის გამოყენებით ამუშავებენ, მიაწოდოს ინფორმაცია მონაცემების დამუშავების პროცესში გასათვალისწინებელი ვალდებულებებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის (შემდგომში - „სამსახური“) რეკომენდაციების შესახებ, რაც დრონის

<sup>1</sup> The Data Protection Commission (DPC) of Ireland, Guidance on the Use of Drones, May 2022, p.1. < <https://www.dataprotection.ie/en/dpc-guidance/guidance-on-the-use-of-drones> > [06.02.2024].

<sup>2</sup> Spanish Data Protection Agency, Drones and Data Protection, May 2019, p.1. < <https://www.aepd.es/es/documento/guia-drones-en.pdf> > [06.02.2024].

<sup>3</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, მსოფლიო პრაქტიკა, ივნისი, 2022, გვ. 11. < <https://bit.ly/3HVYwmh> > [06.02.2024].

გამოყენებით მონაცემთა დამუშავების პროცესს გაცილებით უსაფრთხოა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვაზე ორიენტირებულს გახდის.

### 1. დრონის გამოყენებით მონაცემთა დამუშავება და კანონის მოქმედების ფარგლები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ აშკარად პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაზე, რომელიც დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. ამასთან, კანონი დამატებით განმარტავს, რომ პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება, სხვა აქტივობებთან ერთად, შეიძლება მოიცავდეს მიმოწერას, მისამართების დამუშავებას, ინტერნეტ აქტივობას (მათ შორის, სოციალურ ქსელში), რომელიც პირადი ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება.

ამდენად, კანონის მოქმედება არ გავრცელდება დრონის იმ პილოტის საქმიანობაზე, რომელიც მას იყენებს აშკარად პირადი ან/და ოჯახური მიზნით. თუმცა, თუ დრონის გამოყენებით მონაცემთა დამუშავება დაკავშირებულია პირის სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, ასევე, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, დამუშავება მოექცევა კანონის მოქმედების ფარგლებში და პირს დაეკისრება კანონით დადგენილი ყველა ვალდებულების შესრულება.

#### მაგალითად:

თუ თქვენი ჰობი არის ფოტოგრაფია და გსურთ, საჯარო სივრცეში გამოსცადოთ თქვენი ახალი დრონი, ბუნებრივია, რომ მისი ხედვის/ჩაწერის არეალში შესაძლოა სხვა ადამიანებიც მოხვდნენ. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, თქვენი აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს პირადი მიზნით მონაცემთა დამუშავებად, თუ არ მოხდება ჩაწერილი მონაცემების შემდგომი, პირველადი მიზნისგან განსხვავებული მიზნით დამუშავება.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, თუ დრონს იყენებთ კომერციული მიზნით, მაგ. თქვენი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ღონისძიების ფოტო/ვიდეო გადაღებისთვის, ამგვარი საქმიანობა ვეღარ მოექცევა პირადი ან/და საოჯახო მიზნის ქვეშ და შესაბამისად, მასზე სრულად გავრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები.

კანონის თანახმად, გარდა პირადი და საოჯახო მიზნით მონაცემთა დამუშავებისა, კანონის მოქმედება ასევე არ ვრცელდება:

- სახელმწიფო უსაფრთხოების (მათ შორის, ეკონომიკური უსაფრთხოების), თავდაცვის, სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი საქმიანობების მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე;
- დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისთვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავებასა და არაავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე;
- სასამართლოში სამართალწარმოების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 27-ე მუხლისა);
- აკადემიური, სახელოვნებო და ლიტერატურული მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დრონის გამოყენებით მონაცემთა დამუშავება ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ მიზანს ემსახურება, დამუშავების პროცესზე კანონის მოქმედება არ გავრცელდება.

მიუხედავად ამისა, სასურველია, დრონის პილოტმა (დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა/დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა), რომელიც დრონის გამოყენებით მონაცემებს ამუშავებს, გაითვალისწინოს და პრაქტიკაში დანერგოს კანონით განმტკიცებული სტანდარტები და მონაცემთა სუბიექტების უფლებათა დაცვის გარანტიები.

## 2. დრონის პილოტის სტატუსი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში წარმოდგენილი ტერმინთა განმარტების თანახმად, **დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი** არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.<sup>4</sup>

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დრონის პილოტი თავად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, იგი ჩაითვლება დამუშავებისთვის

<sup>4</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი.

პასუხისმგებელ პირად და მასზე გავრცელდება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიმართ კანონით დადგენილი ვალდებულებები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დრონის პილოტი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ სხვა პირთან ერთად განსაზღვრას მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, ისინი ჩაითვლებიან **თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებად**.<sup>5</sup> ასეთ შემთხვევაში, დრონის პილოტმა ყურადღება უნდა მიაქციოს თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების მიმართ კანონით დადგენილ სპეციალურ ვალდებულებებს.

კანონის თანახმად, ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით, მიიჩნევა **დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად**. ამასთან, საყურადღებოა, რომ დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი.<sup>6</sup>

**შესაბამისად**, თუ დრონის პილოტი თავად არ განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, არამედ იგი სხვა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მიღებული დავალების შესაბამისად, დრონის გამოყენებით ამუშავებს მონაცემებს, იგი ჩაითვლება არა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ, არამედ დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად და მასზე გავრცელდება დამუშავებისთვის უფლებამოსილი პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული წესები.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დრონის პილოტი მონაცემებს შრომითი ურთიერთობის ფარგლებში ამუშავებს, იგი არც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და არც დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის მატარებელ სუბიექტად დრონის პილოტის დამსაქმებელი ჩაითვლება.

### 3. მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობა

დრონების გამოყენებით მონაცემთა დამუშავებიდან მომდინარე მომეტებული საფრთხეების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, დრონის პილოტებმა (დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა/დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირებმა) გაითვალისწინონ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილი

<sup>5</sup> იქვე, მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი.

<sup>6</sup> იქვე, მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტი.

ვალდებულებები და დამუშავების პროცესი მონაცემთა დაცვის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისად წარმართონ.

ამ კუთხით, კანონით დადგენილ სხვა ვალდებულებებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მონაცემთა დამუშავების კანონიერების, გამჭვირვალობისა და მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების, მონაცემთა მინიმალიზების, მონაცემთა უსაფრთხოების ვალდებულებები, ასევე, კანონით გათვალისწინებული ისეთი საკითხები, როგორცაა მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი („Data protection by design & by default“) და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება.

მონაცემთა დამუშავების კანონიერად მიჩნევისათვის აუცილებელია, დრონის გამოყენების პროცესი შეესაბამებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაშიც მოიაზრება არა მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, არამედ ყველა სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც დრონის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს შეიძლება აწესრიგებდეს.

ამ კუთხით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 სექტემბრის №156 ბრძანება „უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემების ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - წესი), რომელიც არეგულირებს უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატაციის წესებს და ადგენს მოთხოვნებს უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის, დისტანციური პილოტის და ექსპლუატაციაში ჩართული პირების მიმართ. აღნიშნული წესი ასევე ადგენს მოთხოვნებს უპილოტო საჰაერო ხომალდების მარკირების და იდენტიფიკაციის, გეოინფორმირების და დისტანციური იდენტიფიკაციის, უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის და სერტიფიცირებული უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგისტრაციის მიმართ.

**შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერების უზრუნველსაყოფად, დრონის პილოტმა (დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა/ დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა) უნდა უზრუნველყოს სფეროს მარეგულირებელი ყველა შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი ვალდებულების შესრულება.**

#### 4. მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლის არსებობა

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების ერთ-ერთი მთავარი პირობა მონაცემთა დამუშავების სათანადო საფუძვლის არსებობაა, რომელთა ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებში. იქიდან გამომდინარე, რომ, დრონის გამოყენებით მონაცემთა დამუშავების პროცესში, ხშირ შემთხვევაში, რთული, ან სულაც



შეუძლებელია თანხმობის მოპოვება ყველა იმ სუბიექტისგან, რომლის მონაცემებიც დრონის მეშვეობით მუშავდება<sup>7</sup>, მოსალოდნელია, დრონის პილოტს (დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი) დასჭირდეს მონაცემთა დამუშავების კანონით გათვალისწინებულ რომელიმე სხვა საფუძველზე დაყრდნობით წარმართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავება ჩაითვლება უკანონოდ.

მონაცემთა დამუშავების საფუძვლის განსაზღვრის პროცესში, დრონის პილოტმა (დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა/დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოსა და კონტექსტს, რომელშიც იგი დრონის გამოყენებით მონაცემთა დამუშავებას გეგმავს. მაგალითად, თუ პირი დრონით ფოტო/ვიდეოგადაღებას გეგმავს სამედიცინო დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ხედვის/ჩაწერის არეალში განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანი (მათ შორის, პაციენტი) შეიძლება მოექცეს და სადაც არსებობს კადრში მოხვედრილი სუბიექტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების ალბათობა, დრონის პილოტი ვალდებულია, გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოება და მონაცემთა დამუშავების საფუძვლის შერჩევას იხელმძღვანელოს კანონის არა მხოლოდ მე-5, არამედ ასევე მე-6 მუხლით.

**შესაბამისად, დრონის პილოტმა (დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა/დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა) ყურადღებით უნდა შეარჩიოს მონაცემთა დამუშავების საფუძველი. ამასთან, საჭიროა, მისი გადაწყვეტილება ეყრდნობოდეს შესაბამის არგუმენტაციას, ვინაიდან კონკრეტული საფუძვლის შერჩევის მიზანშეწონილობის მტკიცების ტვირთი სწორედ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ/დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს ეკისრება.**

**5. მონაცემთა დამუშავების პროცესის გამჭვირვალობა და მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება**

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, რომელთაგან ერთ-ერთის დარღვევაც კი, მონაცემთა დამუშავების პროცესის უკანონოდ მიჩნევის საფუძველია. სხვა საკითხებთან ერთად, კანონი მონაცემთა დამუშავების პროცესის მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ წარმართვის ვალდებულებას მონაცემთა დამუშავების პრინციპად განსაზღვრავს. კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად,

<sup>7</sup> The Data Protection Commission (DPC) of Ireland, Guidance on the Use of Drones, May 2022, p.2.

„მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეუღალხავად.“

ხსენებული პრინციპის თანახმად, მონაცემთა სუბიექტისთვის ნათელი და გამჭვირვალე უნდა იყოს, რომ მუშავდება ან იგეგმება მისი მონაცემების დამუშავება. კერძოდ, გამჭვირვალეობის პრინციპი მოითხოვს, რომ მონაცემთა სუბიექტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. ასეთი ხელმისაწვდომობა, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მარტივი და გასაგები ენით. სიმარტივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავებისას, რათა არასრულწლოვან მონაცემთა სუბიექტს შეეძლოს გაიაზროს, რა ბედი ელის მის პერსონალურ მონაცემებს.

კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების შესახებ მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიღების უფლებას. აღნიშნული უფლება განსაკუთრებით აქტუალურია დრონის გამოყენების შედეგად მონაცემთა დამუშავების პროცესში, ვინაიდან, ასეთ დროს, უმეტეს შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტისთვის საერთოდ უცნობია ინფორმაცია მისი მონაცემების დამუშავების ფაქტისა და მონაცემთა დამმუშავებლის ვინაობის შესახებ.

ხშირ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, რთული, ან სულაც შეუძლებელია დრონის გადაღების არეალში მოქცეული ყველა სუბიექტის ინდივიდუალურად ინფორმირება (მაგ. სტადიონზე, ქუჩაში და ა.შ.). შესაბამისად, დრონის პილოტებს ევალებათ, გამონახონ ორიგინალური გზები იმ პირებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, რომელთა პერსონალური მონაცემებიც დრონის გამოყენების შედეგად მუშავდება.<sup>8</sup> ისეთ შემთხვევაში, როცა ამის გაკეთება განსაკუთრებით რთულია, ან მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, მონაცემთა დამმუშავებელი სუბიექტისთვის ინფორმაციის სხვა გზით მიწოდებას უნდა ეცადოს, რაც შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად: დრონის მოქმედების ტერიტორიაზე შესაბამისი ნიშნების განთავსებით; მონაცემთა დამმუშავებლის ვებგვერდზე დამუშავების პროცესის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენით, ან მისი სხვა ფორმით მიწოდებით.<sup>9</sup>

შესაბამისად, დრონის გამოყენებით მონაცემთა დამუშავების მრავალფეროვანი გამოვლენის ფორმების გათვალისწინებით, საჭიროა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეფასდეს, რომელია მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების საუკეთესო საშუალება, იქნება ეს დრონის მოქმედების ზონაში საინფორმაციო ნიშნის/ბარათის განთავსება, სოციალურ თუ ბეჭდურ მედიაში ინფორმაციის გამოქვეყნება, საინფორმაციო

<sup>8</sup> ელიზბარაშვილი ს., პერსონალური მონაცემების დამუშავება დრონების გამოყენებით (საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა და შესაბამისობა ქართულ კანონმდებლობასთან), პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი, №2, 2023, 82.

<sup>9</sup> Information Commissioner's Office (ICO), UK, Additional Considerations for Technologies other than CCTV, October 2022, p. 36. < <https://ico.org.uk/media/for-organisations/guide-to-data-protection/key-dp-themes/guidance-on-video-surveillance-including-cctv-1-0.pdf> > [06.02.2024].

ბროშურების გავრცელება, საინფორმაციო დაფის გამოკვრა თუ სხვა.<sup>10</sup> მთავარია, მონაცემთა სუბიექტს მიეწოდოს ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების ფაქტის, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის, დამუშავების მიზნისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ.

ასევე მნიშვნელოვანია, მონაცემთა სუბიექტისთვის მარტივად აღსაქმელი იყოს, თუ ვინ არის დრონის პილოტი.<sup>11</sup> ამიტომ, დრონის მართვაზე პასუხისმგებელი სუბიექტის იდენტიფიცირების გასაადვილებლად, მიზანშეწონილია, დრონი და მისი პილოტი ექცეოდნენ მონაცემთა სუბიექტების ხედვის არეალში. აღქმადობის გასამარტივებლად, შესაძლებელია, დრონის პილოტი ატარებდეს მარტივად შესამჩნევ ტანსაცმელს, ასევე, სასურველია, იგი მზად იყოს, დაინტერესებულ პირს მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია QR კოდის საშუალებით, რომელიც მონაცემთა სუბიექტს გადაამისამართებს ვებგვერდის ბმულზე (არსებობის შემთხვევაში), სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ.<sup>12</sup>

გარდა ამისა, გამჭვირვალობის პრინციპთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, დრონს გააჩნდეს ადეკვატური სასიგნალო სისტემა, მაგ. განათება (ციმციმა) ან ხმა, რაც მონაცემთა სუბიექტს აგრძნობინებს, რომ კონკრეტულ მომენტში ხორციელდება დრონით ჩაწერა.<sup>13</sup>

## 6. მონაცემთა დამუშავების კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზანი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი განამტკიცებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულებას, რომ მონაცემები უნდა შეგროვდეს /მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის და რომ დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.<sup>14</sup>

<sup>10</sup> Spanish Data Protection Agency, Drones and Data Protection, May 2019, p.4.

<sup>11</sup> The UK Civil Aviation Authority, The Drone and Model Aircraft Code - For Flying Drones, Model Aeroplanes, Model Gliders, Model Helicopters, and other Unmanned Aircraft Systems Outdoors in the Open A1 and A3 Categories, Protecting people's privacy (Points 20 to 25). Published: October 2019, Last updated: January 2023. Point 22, p. 32. < [https://register-drones.caa.co.uk/drone-code/the\\_drone\\_code.pdf](https://register-drones.caa.co.uk/drone-code/the_drone_code.pdf) > [06.02.2024].

<sup>12</sup> The Data Protection Commission (DPC) of Ireland, Guidance on the Use of Drones, May 2022, p.4.

<sup>13</sup> იქვე, 5.

<sup>14</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

შესაბამისად, აუცილებელია, დრონის გამოყენებით მონაცემთა დამუშავების დაწყებამდე, დრონის პილოტმა (დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა / დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა) განსაზღვროს კონკრეტული და მკაფიო ლეგიტიმური მიზანი და არ დაუშვას მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

## 7. მონაცემთა მინიმიზაციის ვალდებულება

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია დრონის გამოყენებით მონაცემთა დამუშავების პროცესში, არის ე.წ. მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი. კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. ამასთან, მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი.

დრონის გამოყენების პროცესში ადამიანის პირადი ცხოვრებისა და მონაცემთა დაცვის უფლებებში ჩარევის მინიმიზების მიღწევა შესაძლებელია შემდეგი საკითხების/მოქმედებების წინასწარ დაგეგმვითა და გათვალისწინებით: 1. ფრენის კონკრეტული მარშრუტი; 2. დრონის სახეობა და მისი აღჭურვილობა; 3. შეგროვებული მონაცემების მართვა.<sup>15</sup>

დრონში ჩაშენებული მონაცემთა შეგროვებისა და შენახვის სისტემები შეიძლება აეწყოს იმგვარად (by default), რომ თავიდან იქნეს აცილებული არასაჭირო ოდენობისა თუ შინაარსის მონაცემების შეგროვება და შემდგომი დამუშავება, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს, მაგალითად, მონაცემთა დეპერსონალიზაციის გზით (მაგ., გამოსახულების ჩამწერი კამერა ავტომატურად აფიქსირებდეს და აზუნდოვანებდეს (blur) ტერიტორიაზე მოძრავი ადამიანების გამოსახულებას).<sup>16</sup> ამდენად, მონაცემთა არამიზნობრივი (გადაჭარბებული) დამუშავების თავიდან ასარიდებლად, დრონის პილოტმა მკაცრად უნდა დაიცვას მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი.<sup>17</sup>

მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპთან შესაბამისობისთვის, მიზანშეწონილია, დრონზე დამონტაჟებული მონაცემთა შეგროვების სისტემები აღჭურვილი იყოს საჭიროებისამებრ ჩართვა-გამორთვის ფუნქციით, ამასთან, კადრში მოქცეული

<sup>15</sup> ელიზბარაშვილი ს., პერსონალური მონაცემების დამუშავება დრონების გამოყენებით (საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა და შესაბამისობა ქართულ კანონმდებლობასთან), პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი, №2, 2023, 83-84.

<sup>16</sup> The Data Protection Commission (DPC) of Ireland, Guidance on the Use of Drones, May 2022, pp.4-5.

<sup>17</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, მსოფლიო პრაქტიკა, ივნისი, 2022, გვ. 11-12.

ვიზუალური კუთხე შემოფარგლული უნდა იყოს მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნით.

**მაგალითად:**

თუ დრონის გამოყენების მიზანი დაზიანებული სახურავის კონკრეტული მონაკვეთის შემოწმებაა, არ იარსებებს 360 გრადუსიანი კუთხით გადაღების საჭიროება (რომლის ხედვის არეალშიც, შესაძლოა, არასაჭირო რაოდენობის მონაცემთა სუბიექტები მოექცნენ).<sup>18</sup>

მონაცემთა მინიმუმაციისთვის, მიზანშეწონილია, დრონის პილოტმა მაქსიმალურად შეზღუდოს კადრში მოქცეული ადამიანებისა და იმ ნივთების რაოდენობა, რომელიც მონაცემთა სუბიექტებს მარტივად იდენტიფიცირებადს გახდის (მაგალითად, ავტომობილის სანომრე ნიშანი).

აღნიშნული მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს, მაგალითად, ფრენების დღის იმ მონაკვეთში განხორციელებით, როდესაც კონკრეტულ არეალში ხალხის ყველაზე დაბალი კონცენტრაცია ფიქსირდება. ასევე, უმჯობესია, ვიდეო/აუდიო ჩაწერა ან/და ფოტოგადაღება ხორციელდებოდეს არა მთლიანი ფრენის განმავლობაში, არამედ კონკრეტულ მომენტებში, როდესაც ეს საჭიროებითაა განპირობებული.<sup>19</sup>

**შესაბამისად**, იმგვარი ფოტო ან ვიდეოგადაღების თავიდან ასარიდებლად, რომელიც უხეშად არღვევს ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, დრონის პილოტმა უნდა შეარჩიოს გადაღებისთვის სათანადო დრო და ადგილი. ამასთან, იგი უნდა ფლობდეს ინფორმაციას მის მიერ გამოყენებული დრონის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ. კერძოდ, რა ხარისხით იწერს ის გამოსახულებას, რა მასშტაბით შეუძლია კადრის მიახლოება (ე.წ. “zoom in”), არის თუ არა ტექნიკურად შესაძლებელი ფრენის მომენტში გადაღების დაწყება და შეწყვეტა (კონტროლი) და სხვა.<sup>20</sup>

ზემოაღნიშნული საკითხების უკეთ გასარკვევად და დრონის შესაძლებლობების გასაცნობად, მიზანშეწონილია, საჯარო სივრცეში ფრენამდე, დრონის პილოტმა საცდელი ფრენები განახორციელოს კონტროლირებად სიტუაციაში.

<sup>18</sup> The Data Protection Commission (DPC) of Ireland, Guidance on the Use of Drones, May 2022, p.5.  
<sup>19</sup> Spanish Data Protection Agency, Drones and Data Protection, May 2019, p.3.  
<sup>20</sup> The UK Civil Aviation Authority, The Drone and Model Aircraft Code - For Flying Drones, Model Aeroplanes, Model Gliders, Model Helicopters, and other Unmanned Aircraft Systems Outdoors in the Open A1 and A3 Categories, Protecting people’s privacy (Points 20 to 25). Published: October 2019, Last updated: January 2023. Point 21, p. 32.

ამასთან, აუცილებელია, წაიშალოს ყველაფერი, რაც სცილდება მონაცემთა დამუშავების მიზნებს და რისი შენახვის არანაირი საჭიროება არ არსებობს.<sup>21</sup>

## 8. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი („მონაცემთა დამუშავების პრინციპები“) ამკვიდრებს მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპს. კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

გარდა მე-4 მუხლისა, მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებს აწესრიგებს კანონის მე-27 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა ამ კანონის შესაბამისად დამუშავების უზრუნველსაყოფად და შეძლოს მონაცემთა დამუშავების ამ კანონთან შესაბამისობის დადასტურება.“ დრონის გამოყენებით მონაცემთა დამუშავების დროს უსაფრთხოების არაერთი გამოწვევა შეიძლება წარმოიშვას. შესაბამისად, დრონის პილოტი ვალდებულია, მიიღოს უსაფრთხოების სათანადო ზომები.

მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, ხომ არ არის დრონი დაკავშირებული რაიმე სხვა სისტემებთან. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა, მიღებულ იქნეს შესაბამისი უსაფრთხოების ზომები. გარდა ამისა, დრონის პილოტი (დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი) უნდა დარწმუნდეს, რომ მის მიერ შეგროვებული ყველა მონაცემი უსაფრთხოდაა შენახული, რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს შენახული ინფორმაციის დაშიფვრის ან მასზე წვდომის შეზღუდვის სხვა მეთოდის გამოყენებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა დრონის გაფრენა ხორციელდება შორ მანძილზე, პილოტის ხედვის არეალს მიღმა, ან როდესაც ხდება დრონის ჩამოვარდნა, რაც წარმოშობს მოწყობილობისა და მასში არსებული მონაცემების დაკარგვის ან მოპარვის მომეტებულ საფრთხეს.<sup>22</sup>

ამდენად, დრონის გამოყენებით მონაცემთა დამუშავების პროცესში მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ტექნიკური და ორგანიზაციული

<sup>21</sup> იქვე, p. 33.

<sup>22</sup> Information Commissioner’s Office (ICO), UK, Additional Considerations for Technologies other than CCTV, October 2022, pp. 36-37.

ზომების მიღება სწორედ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობაა.

შესაბამისად, დრონის პილოტმა (დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა/დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ტექნიკურ მახასიათებლებს, რომლითაც აღჭურვილია დრონი და რომელიც მონაცემთა შეგროვებისა და შენახვის პროცესში მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. მათ შორის, დრონის პილოტმა უნდა შეამოწმოს, დრონის საშუალებით გადაღებული ფოტო/ვიდეომასალა ინახება თავად მოწყობილობაზე, პორტატული მეხსიერების ბარათზე თუ ე.წ. ღრუბლოვანი სისტემაზე (cloud system). საფრთხის თავიდან ასაცილებლად, დრონის პილოტმა (დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა/დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა) უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მაგ. დაშიფროს მონაცემები, ვიდრე ისინი ე.წ. „ქლაუდ სისტემაზე“ გადაიგზავნება.<sup>23</sup>

## 9. მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი ითვალისწინებს მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტს, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებულ საწყის მეთოდს ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას (ე.წ. Data Protection by default and by design), რაც ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის („General Data Protection Regulation“, GDPR) 25-ე მუხლის გამოძახილად უნდა შეფასდეს.

კანონის ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, ახალი ტექნოლოგიების, განხორციელების ხარჯების, დამუშავების ხასიათის, მასშტაბის, კონტექსტისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მოსალოდნელი რისკებისა და მონაცემთა დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა როგორც დამუშავების საშუალებების განსაზღვრის, ისე უშუალოდ დამუშავების პროცესში უნდა მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები (მათ შორის, ფსევდონიმიზაცია ან /და სხვა). ამ ზომების მიღება უნდა უზრუნველყოფდეს მონაცემთა დამუშავების პრინციპების ეფექტიან იმპლემენტაციას და მონაცემთა დამუშავების პროცესში დაცვის მექანიზმების ინტეგრირებას მონაცემთა სუბიექტის უფლებების დასაცავად. ამასთან, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა რაოდენობის, მონაცემთა დამუშავების მასშტაბის, შენახვის ვადებისა და მონაცემებზე წვდომის განსაზღვრისას უნდა უზრუნველყოს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღება, რომ ავტომატურად დამუშავდეს მონაცემების მხოლოდ ის მოცულობა, რომელიც აუცილებელია დამუშავების კონკრეტული მიზნისთვის. ეს ზომები იმგვარად უნდა გამოიყენებოდეს, რომ ნებადართული ალტერნატიული

<sup>23</sup> The Data Protection Commission (DPC) of Ireland, Guidance on the Use of Drones, May 2022, p.5.

მიდგომის არჩევამდე, პირთა განუსაზღვრელი წრისთვის ავტომატურად უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა მხოლოდ მინიმალურ მოცულობაზე წვდომა.

ამდენად, დრონების წარმოების პროცესში სუბიექტთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაცავად მნიშვნელოვანია, რომ მწარმოებელმა საქმიანობა წარმართოს ადამიანის უფლებების პატივისცემის იდეაზე დაყრდნობით,<sup>24</sup> მათ შორის, წარმოების პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის მექანიზმები, რომელიც დრონის მიერ შეგროვებული მონაცემების მინიმალიზებას უზრუნველყოფს. ამასთან, მონაცემთა დაცვის საკითხები მხედველობაში უნდა მიიღოს დრონის პილოტმა, კონკრეტული ოპერაციისთვის სათანადო დრონის შერჩევის, ფრენის მარშრუტის დაგეგმვისა და მონაცემთა დამუშავების პროცედურების შემუშავების დროს.<sup>25</sup>

შესაბამისად, დრონის პილოტის, როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულებაა, დარწმუნდეს, რომ დრონის სისტემა, რომლის გამოყენებასაც იგი აპირებს, შესაბამისობაშია კანონის 26-ე მუხლით გათვალისწინებულ მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტთან (მაგ., მონაცემთა ჩაწერისა და შენახვის ტექნიკური შესაძლებლობა დრონს ჰქონდეს მხოლოდ გარკვეულ სიმაღლეზე ასვლის შემთხვევაში<sup>26</sup>, ან/და, ფოტოს გარჩევადობის/რეზოლუციის შემცირება შესაძლებელი იყოს იმ მინიმუმამდე, რომელიც საკმარისი იქნება მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად<sup>27</sup> და სხვა).

## 10. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი ადგენს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულებას. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ მონაცემთა დამუშავებისას ახალი ტექნოლოგიების, მონაცემთა კატეგორიის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით იქმნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია წინასწარ განახორციელოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება. ზეგავლენის შეფასება არის არაერთჯერადი ხასიათის,

<sup>24</sup> A DroneRuels.eu PRO, Privacy by Design Guide, Resource for drone operators and pilots, 2019, pp. 6-7. < <https://shorturl.at/efkyB> > [04.09.2023].

<sup>25</sup> Dronerules.eu, 5 Ways in Which the GDPR Will Impact the Drone Sector, 2018. < <https://dronerules.eu/en/professional/news/5-ways-in-which-the-gdpr-will-impact-the-drone-sector> > [04.09.2023].

<sup>26</sup> Information Commissioner's Office (ICO), UK, Additional Considerations for Technologies other than CCTV, October 2022, p. 37.

<sup>27</sup> Spanish Data Protection Agency, Drones and Data Protection, May 2019, p.3.



მიმდინარე პროცესი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მონაცემთა დამუშავებისკენ მიმართული ღონისძიება დინამიკურია და ხასიათდება პერიოდული ცვლილებებით.<sup>28</sup>

საყურადღებოა, რომ, კანონის თანახმად, ზეგავლენის შეფასების უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, შესაბამისად, უშუალოდ დრონის პილოტზე აღნიშნული ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში გავრცელდება, როდესაც იგი საქმიანობას ახორციელებს როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ გარდა კანონის 31-ე მუხლისა, ზეგავლენის შეფასებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები წესრიგდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის პირველი მარტის ბრძანებით „მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულების წარმომშობი გარემოებების დადგენის კრიტერიუმებისა და შეფასების წესის შესახებ“. ხსენებული ნორმატიული აქტით დადგენილ საკითხებთან ერთად, დრონის გამოყენებასთან დაკავშირებით პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს:

- დრონის მოქმედების არეალის განსაზღვრა;
- მონაცემთა სუბიექტების სავარაუდო რაოდენობისა და კატეგორიის განსაზღვრა;
- მონაცემთა დამუშავების აუცილებლობისა და პროპორციულობის განსაზღვრა;
- საფრთხეების იდენტიფიცირება და ზეგავლენის შეფასება;
- გამოვლენილი საფრთხეების თავიდან აცილების/მოგვარების გზების იდენტიფიცირება.<sup>29</sup>

მნიშვნელოვანია, რომ დრონების აწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში, დრონების პილოტებმა გაითვალისწინონ რისკზე დაფუძნებული (risk-based) და რისკის მართვის (risk-management) სტრატეგიები. კერძოდ, დრონის გამოყენებამდე, მათ უნდა გაანალიზონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წინაშე არსებული პოტენციური საფრთხეები, რამაც უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის მიღწევა მონაცემთა სუბიექტისა და დრონის ოპერატორის ინტერესებს შორის.

**შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შეფასების პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული დაგეგმილი ოპერაციის მიზანი, გამოსაყენებელი დრონის ტიპი და მასზე დამონტაჟებული ტექნოლოგიები.<sup>30</sup>**

<sup>28</sup> Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on Data Protection Impact Assessment (DPIA) and Determining Whether Processing is “likely to Result in a High Risk” for the Purposes of Regulation 2016/679, 2017, p. 14.

<sup>29</sup> A DroneRuels.eu PRO, Data Protection Impact Assessment Template, Resource for drone operators and pilots, 2019, p. 3. < <https://shorturl.at/rIJVX> > [04.09.2023].

<sup>30</sup> Spanish Data Protection Agency, Drones and Data Protection, May 2019, p.5.

ამასთან, რეკომენდებულია, ზეგავლენის შეფასების პროცესში ჩართულ იქნენ ექსპერტები და დაინტერესებული მხარეები. დამატებით, შეფასების სწორად წარმართვისთვის, მნიშვნელოვანია, პროცესში ჩაერთოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).<sup>31</sup> გარდა ამისა, როცა ეს შესაძლებელია, სასურველია, ზეგავლენის შეფასების მომზადების პროცესში მონაცემთა დამმუშავებელმა კონსულტაცია გაიაროს მონაცემთა სუბიექტებთან ან მათ წარმომადგენლებთან.

#### **მაგალითად:**

დასახლებულ ადგილას დრონის გამოყენების შემთხვევაში, დრონის პილოტის (დამმუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამმუშავებაზე უფლებამოსილი პირის) მხრიდან კომუნიკაცია შესაძლოა შედგეს ადგილობრივ მაცხოვრებლებსა და ბიზნესის წარმომადგენლებთან, სამეზობლო ამხანაგობებთან, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო, სამედიცინო, პოლიტიკურ თუ რელიგიურ დაწესებულებებთან და სხვა.<sup>32</sup>

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება აღქმულ უნდა იქნეს როგორც ინსტრუმენტი, რომელიც მონაცემთა დამმუშავებელს მონაცემთა დამმუშავების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება<sup>33</sup> და საშუალებას მისცემს, სწორად გადაწყვიტოს, კონკრეტული მიზნის მისაღწევად, დრონის გამოყენება ნამდვილად არის თუ არა მონაცემთა დამმუშავებისთვის საჭირო და ადეკვატური საშუალება.<sup>34</sup>

### **11. დრონის გამოყენების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად მისაღები ზომები**

რეკომენდაციებში მიმოხილული საკითხები ცხადყოფს, რომ დრონის გამოყენების პროცესში, მასში ინტეგრირებული ტექნოლოგიური თუ პროგრამული შესაძლებლობების გათვალისწინებით, დრონის პილოტების (დამმუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამმუშავებაზე უფლებამოსილი პირების) მიერ შეიძლება დიდი

<sup>31</sup> Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on Data Protection Impact Assessment (DPIA) and Determining Whether Processing is “likely to Result in a High Risk” for the Purposes of Regulation 2016/679, 2017, p. 15.

<sup>32</sup> A DroneRuels.eu PRO, Data Protection Impact Assessment Template, Resource for drone operators and pilots, 2019, p. 5.

<sup>33</sup> Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on Data Protection Impact Assessment (DPIA) and Determining Whether Processing is “likely to Result in a High Risk” for the Purposes of Regulation 2016/679, 2017, p. 14.

<sup>34</sup> Information Commissioner’s Office (ICO), UK, Additional considerations for technologies other than CCTV, October 2022, p. 36.

მოცულობით მუშავდებოდა პირთა განუსაზღვრელი წრის მონაცემები (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები). ამდენად, მომეტებულია სუბიექტთა პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების საფრთხე.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დრონის პილოტები (დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები) განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდონ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვალდებულებებს და გაითვალისწინონ როგორც ზემოთ წარმოდგენილი, ისე შემდეგი რეკომენდაციები:

- დრონის პილოტის ქმედებები შესაბამისობაში უნდა იყოს დრონების გამოყენების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან;
- დრონის პილოტმა (დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა/დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა) უნდა განსაზღვროს მონაცემთა დამუშავების თავდაპირველი და შემდგომი მიზნები;
- მონაცემთა სუბიექტის მხრიდან ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, დრონის პილოტმა მას უნდა მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზნების, კანონიერებისა და სუბიექტის უფლებების შესახებ;
- მონაცემთა დამუშავება უნდა ემყარებოდეს კანონიერ საფუძველს;
- მონაცემთა დამუშავების პროცესში, მონაცემთა არამიზნობრივი (გადაჭარბებული) დამუშავების თავიდან ასარიდებლად, დრონის პილოტმა უნდა გაითვალისწინოს მონაცემთა მინიმუზაციის პრინციპი, რაც, მათ შორის, შეიძლება მიღწეულ იქნეს მონაცემთა დეპერსონალიზებისა და ფსევდონიმიზაციის გზით;
- დრონის პილოტმა უნდა გამოიყენოს დრონში ინტეგრირებული/„ჩაშენებული“ მონაცემთა დაცვის საშუალებები, როგორცაა, მაგალითად, ფოტოს გარჩევადობის(რეზოლუციის) იმ მინიმუმამდე დაყვანა, რომელიც საკმარისი იქნება მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად და რომელიც ნაკლებად იდენტიფიცირებადს გახდის მონაცემთა სუბიექტს;
- ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ხალხის ყოფნა გარდაუვალია, დრონის გამოყენებით ფოტო/ვიდეო გადაღება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს მასზე აღბეჭდილ პირთა იდენტიფიცირება. მაგალითად, ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს საკმარისი სიმაღლიდან ფოტოს გადაღებით ან/და სუბიექტების სახის გაბუნდოვანებით (blur);

- დრონის პილოტმა თავი უნდა შეიკავოს მონაცემთა სუბიექტებთან დაკავშირებული არასაჭირო ინფორმაციის შენახვისაგან. მაგალითად, თუ ფოტოგადაღების მიზანია სანაპირო ზოლის ტოპოგრაფიული კვლევა, არ იარსებებს იმ ფოტოების შენახვის საჭიროება, რომელზეც სანაპიროზე დასასვენებლად გამოსული ხალხია აღბეჭდილი;
- არასაჭირო პერსონალური ინფორმაცია მონაცემთა შეგროვებიდან რაც შეიძლება მალე უნდა წაიშალოს ან დეპერსონალიზდეს;
- დრონის პილოტმა (დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა/დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა) უნდა დანერგოს მექანიზმები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მონაცემთა სუბიექტთა სათანადო ინფორმირება;
- მონაცემთა სუბიექტთა უფლებების დაცვისთვის საჭირო უსაფრთხოების გარანტიების შექმნის მიზნით, მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თავიდან იქნეს აცილებული შეგროვებული მონაცემების გადატანის პროცესში მონაცემთა უნებართვო დამუშავების საფრთხე;
- საჭიროა, წინასწარ შეფასდეს ფრენის ფიზიკური უსაფრთხოებისა და საავიაციო კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხები;
- უშუალოდ დრონის გამოყენების პროცესში, დრონის პილოტი უნდა დარწმუნდეს, რომ, როგორც დრონი, ისე თავად პილოტი, მონაცემთა სუბიექტისთვის რაც შეიძლება თვალსაჩინო და იდენტიფიცირებადი არიან;
- ისეთი მოქმედების განხორციელებამდე, რომლის დაწყებამდევე ნათელია მონაცემთა დამუშავების გარდაუვალობა, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების საჭიროება. ამგვარი საჭიროება უნდა განისაზღვროს მონაცემთა დამუშავების მიზნის, დრონის ტიპის, გამოყენებული ტექნოლოგიებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით;
- დრონის საშუალებით ფოტო/ვიდეო მასალის პირადი გამოყენების მიზნით გადაღების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, ეს მასალა არ გასაჯაროვდეს პირთა განუსაზღვრელი წრისთვის ხელმისაწვდომი ფორმით (როდესაც ასეთი ფოტო/ვიდეო მასალა პირთა იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა).



 ნატო ვაჩნაძის ქუჩა N° 7, თბილისი

 ბაქოს ქუჩა N° 48, ბათუმი

 (+995 32) 242 1000

 [office@pdps.ge](mailto:office@pdps.ge)